



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის კულტურის სახლის კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის

## სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ნინოწმინდა  
2014 წელი

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოელებს და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოითხოვება.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1. პრეტენდენტებმა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:

ა) რეკვიზიტები, სამუშაოების შესრულების ვადა, სამუშაოების საგარანტიო ვადა (დანართი 1).

ბ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მიწოდებაზე გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის რეესტრი. (დანართი 2)

გ) ხარჯთაღრიცხვა (დანართი 3).

დ) პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს გამოყენებულ მასალებზე ხარისხის სერთიფიკატები.

**ყველა საბუთი უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.**

## 3. ტექნიკური დავალება

3.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.**

3.2. შესასრულებელი სამუშაოები: **იხილეთ ხარჯთაღრიცხვის ფორმაში.**

3.3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: **30000 (ოცდაათი ათასი ათასი) ლარი.**

3.4. . დაფინანსების წყარო: **2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.**

3.5. მოწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე.**

3.6. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა: **ექსპოლატაციაში მიღებიდან 2 წელი.**

3.7. მოწოდების ადგილი: **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. განძა.**

3.8. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი – საიათ მკოიანი ტელ. 591-91-89-98, შესყიდვების სამსახურის უფროსი – გიორგი ზმოიანი, ტელ. 595-30-07-10, ელ. ფოსტა: g.zmoyan@yahoo.com. მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.43

## 4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, ასევე სატენდერო წინადადების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტრანსპორტირება, დაზღვევა და ა.შ. ხარჯები, რომლებიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადებაში, შემსყიდველის მიერ არ ანაზრაურდება.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

4.5. **იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება აღნიშნული ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ძალაში ყოფნის ვადა შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 დღით**

4.6. **იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო**

**ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.**

**5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი**  
**ხელშეკრულება #**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ნინოწმინდა

2014 წლის \_\_\_\_\_

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) გამგებლის, გაგიკ კარსლიანის სახით და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 1.6 „სამუშაო” – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება” – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
- 1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია” – მომწოდებლის მიერ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**2. ხელშეკრულების საგანი**

- 2.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენს: \_\_\_\_\_
- 2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომლებიც ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს. მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**2. სტანდარტები**

- 4.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულების გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.
- 5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზის მითითებით.
- 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული ფიზიკურად შესრულებული სამუშაოს, მომსახურების და საქონლის შესყიდვის ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი – რომელიც შექმნილია გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

## **6. შესასრულებელი სამუშაოების გაწევის პირობები**

6.1 შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

6.2. სამუშაოს შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში. შემსყიდველი და მომწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

6.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## **7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

7.2. შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა-2-სა და ფიზიკურად დამთავრებული სამუშაოების მიღების აქტის გაფორმებით.

7.3. შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების დასრულებამდე საორიენტაციოდ ერთი კვირით ადრე ინსპექტირების ჯგუფი ახდენს ობიექტისა და შესასრულებელი სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაზეც ფორმდება შესაბამისი აქტი.

7.4. მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე თუ არ არის შენიშვნები. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელს მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად და მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შენიშვნების აღმოფხვრის შემდეგ.

## **8. გარანტია**

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატივების შესაბამისად და დააკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

8.2. შესყიდვის ობიექტის საგარანტო ვადა ექსპლუატაციაში მიღებიდან –2 წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისთვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზრაურება ან გამოკვეთოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

## **9. ანგარიშსწორება**

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ეტაპობრივად ფორმა-2-ის შესაბამისად.

9.4. საბოლოო ანგარიშსწორება სამუშაოების დასრულების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **11. უფლებების გადაცემა**

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## **12. სუბკონტრაქტორები**

12.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

### 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

### 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტალურად დაუდასტურებელი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,5%-ის** ოდენობით.

14.3. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების **ღირებულების 3 %-ს**, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

### 16. ფორს-მაჟორი

16.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### 19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

#### 20. გადასახადები და დაბეგრა

20.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე

#### 21. შეტყობინება

21.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკუმის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

#### 22. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

22.1. მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და და სტანდარტების შესაბამისად და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას.

#### 23. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

23.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა \_\_\_\_\_

23.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია – \_\_\_\_\_.

#### 24. სხვა პირობები

24.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

24.2. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

24.3. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და ოთხივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიულ ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

24.4. ხელშეკრულება ძალაშია \_\_\_\_\_.

#### 25. ხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მომწოდებელი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი  
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43  
ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ნინოწმინდის ფილიალი  
ბანკის კოდი LBRTGE22  
ა/ნ GE51LB0120146252122000  
ს/კოდი 236689669

\_\_\_\_\_

გ.კარსლიან

**1. რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

3. სამუშაოების შესრულების ვადები:

4. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა (2 წელი):

ხელმოწერა, ბეჭედი \_\_\_\_\_

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესახებ

პრეტენდენტი \_\_\_\_\_

#	შემსყიდველი ორგანიზაცია	სამუშაოს დასახელება	მოწოდებაზე გაფორმებული დოკუმენტი (ხელშეკრულება)			მოწოდების ვადები
			თარიღი	ნომერი	ღირებულება	
1						
2						
3						

ხელმოწერა, ბეჭედი \_\_\_\_\_